“ლოკომოტივი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

მოსკოვი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).

კვირას, 22 აგვისტოს მოსკოვის “დინამოს” მცირე სტადიონზე დედაქალაქის “ლოკომოტივმა” მიიღო თბილისის “დინამო”.

თამაში თანაბარი ბრძოლით დაიწყო. პირველი 20 წუთის მანძილზე ორივე გუნდი საერთო ინიციატივის ხელში აღებისათვის იბრძოდა, მაგრამ მე–20 წუთზე “ლოკომოტივის” თავდამსხმელი კოროტკოვი მოულოდნელად გაიჭრა დინამოელთა კართან და ანგარიში გახსნა. ამან თბილისელთა რიგებში სრული არევდარევა გამოიწვია. რამდენიმე წუთი და ნახევარმცველ არტემიევის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი მიუტევებლად გაუშვა მეკარე კიტიამ – 2:0.

მთელი მეორე ტაიმი მიმდინარეობდა რკინიგზელთა აბსოლუტური უპირატესობით, განსაცვიფრებელი უპასუხისმგებლობით და დაბალ სპორტულ დონეზე ჩაატარა მატჩი თბილისის “დინამომ”. შედარებით დამაკმაყოფილებლად თამაშობდნენ კ. გაგნიძე და მახარაძე. განსაკუთრებით სუსტად ითამაშეს გოგლიძემ, კიტიამ, ხასაიამ.

უკვე მეორე ტაიმის პირველ წუთზე ანგარიში 3:0 გახდა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ 4:0 – “ლოკომოტივის” სასარგებლოდ, შემდეგში კ. გაგნიძემ შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა, მაგრამ მალე ანთაძემ ბურთი საკუთარ კარში გაიტანა – 5:1. ანგარიში თამაშის ბოლო წუთებზე “დაამრგვალა” ბოლოგოვმა. მოსკოვის “ლოკომოტივმა” შეხვედრა მოიგო ანგარიშით 6:1.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოსკოვის “ლოკომოტივის” თავდამსხმელებს ამ თამაშამდე ყველაზე ნაკლები ბურთები ჰქონდათ გატანილი – 13. 14 მატჩში მათ ვერ გაიტანეს ვერც ერთი ბურთი, 3 თამაშში გაიტანეს თითო, ხოლო 5 თამაშში – ორ–ორი ბურთი (მათ შორის თბილისის “დინამოსთან” პირველ წრეში). აღნიშნულ მატჩში თბილისელთა დაცვა იმდენად სუსტად თამაშობდა, რომ მათ კარში რკინიგზელებმა მოათავსეს მთელ სეზონში გატანილი ბურთების თითქმის 50 პროცენტი.

“ლელო”, 25 აგვისტო, 1954 წ.